

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
უწყვეტი განათლების საგანმანათლებლო პროგრამის ანოტაცია**

პროგრამის დასახელება: მიკროეკონომიკა (სერტიფიცირებული კურსი)

პროგრამის ხანგრძლივობა: 15 კვირა

პროგრამის მოცულობა ECTS კრედიტებისა და საათების (საკონტაქტო და დამოუკიდებელი)

რაოდენობის მითითებით: 6 კრედიტი (150 საათი), მ.შ. 45 საკონტაქტო, 15 საკონსულტაციო და 90 დამოუკიდებელი საათი

პროგრამის განხორციელების ადგილი: ა) ISET, ზანდუკელის 16 ან
ბ) დამკვეთი ორგანიზაცია

პროგრამაში მონაწილეთა რაოდენობა: 20-25 სტუდენტი/მსმენელი

პროგრამის განხორციელებაში მონაწილე პირები: გროგოლ მოდებამე, რატი გაბრიჩიძე (მათი *CV თან ერთვის*)

პროგრამის ხელმძღვანელი: მზია მიქელაძე (*CV თან ერთვის*)

პროგრამაში ჩართვის წინაპირობა და პროგრამის სამიზნე ჯგუფი:

პროგრამაში ჩართვის წინაპირობას წარმოადგენს მათემატიკის ცოდნა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ დონეზე.

კურსი განკუთვნილია:

- კერძო სექტორში დასაქმებული პრაქტიკოსებისათვის (მეწარმეები და მარკეტოლოგები), რომლებიც სწავლობენ ბაზრის მდგომარეობას, კონკურენტულ გარემოს, მომხმარებლების მოთხოვნებს
- კომპანიის მაღალი დონის მენეჯმენტის წარმომადგენლებისათვის, რომლებიც ჩართულნი არიან კომპანიის სტრატეგიულ დაგეგმვაში
- ბიზნესის და ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის.

პროგრამის ღირებულება: შეთანხმებით ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, გამომდინარე შემკვეთი ორგანიზაციის ფინანსური შესაძლებლობებიდან

პროგრამის შემუშავების თარიღი: ოქტომბერი, 2009

პროგრამის მიზნები და ამოცანები

კურსის მიზანია დაეხმაროს ბანკის თანამშრომლებს შეისწავლონ მომხმარებლებისა და ფირმების გადაწყვეტილებები, დაკავშირებულს მათ ოპტიმალურ არჩევნთან კონკრეტულ სიტუაციებში, მათ ხელთ არსებული რესურსებისა და ინფორმაციის გათვალისწინებით.

კურსი მოიცავს მნიშვნელოვან იმფორმაციას იმის შესახებ თუ როგორ ყალიბდება ცალკეული ტიპის ბაზრებისათვის მოთხოვნა-მიწოდება, წონასწორული ფასი და როგორ იღებენ ოპტიმალურ გადაწყვეტილებებს მომხმარებლები და ფირმები არსებული

ბაზრებისათვის მოკლევადიან და გრძელვადიან პერიოდში.

კურსის შინაარსი მოიცავს ოპტიმიზაციისათვის საჭირო მათემატიკურ ელემენტებს, მოთხოვნისა და მიწოდების ფუნქციების განსაზღვრას, მომხმარებლების სარგებლიანობის მაქსიმიზაციას, ფირმის წარმოების შესაძლებლობას მოკლევადიან და გრძელვადიან პერიოდში, მოგების მაქსიმიზაციას, წრფივი პროგრამირების ელემენტებს, ფირმის გადაწყვეტილებებს ცალკეული ბაზრებისათვის (მონოპოლია, ოლიგოპოლია, მონოპოლისტური კონკურენცია და სრულყოფილი კონკურენცია) და თამაშთა თეორიის მნიშვნელოვან ელემენტებს.

მოსალოდნელი შედეგები

კურსის დასრულების შემდეგ ბანკის თანამშრომლებს ექნებათ შესაბამისი ცოდნა და უნარი რომ შეძლონ:

- მოთხოვნა-მიწოდების განსაზღვრა ცალკეული ბაზრისათვის;
- ფირმის დანახარჯთა კატეგორიების გამოყენება გადაწყვეტილებების მიღების პროცესში;
- მოკლევადიანი და გრძელვადიანი პერიოდისათვის მოგების მაქსიმიზაციის პრობლემის გადაჭრა;
- საწარმოო ფაქტორთა ბაზრების გაანალიზება და რესურსების გამოყენების ოპტიმალური დაგეგმვა;
- ცალკეულ ბაზრებთან დაკავშირებული კეთილდღეობისა და სხვა ფაქტორებით გამოწვეული დანაკარგების შეფასება;
- თამაშთა თეორიის პრაქტიკაში გამოყენება;
- სხვადასხვა სახის ეკონომიკური პრობლემის გადასაჭრელად აუცილებელი მათემატიკური აპარატის გამოყენება.

ლიტერატურა:

სავალდებულო ლიტერატურა	1. <i>“Microeconomic Theory: Basic Principles and Extensions”</i> by Walter Nicholson (9th edition) (N) 2. <i>“Managerial Economics”</i> by Lila J. Truett and Dale B. Truett (7th edition) (TT)
დამხმარე ლიტერატურა და ინფორმაციის სხვა წყაროები	1. <i>“Microeconomics”</i> by Robert S. Pindyck and Daniel L. Rubinfeld (5th edition) (PR) 2. <i>“Principles of Economics”</i> by Gregory Mankiw (M)

პროგრამის სტრუქტურა:

#	თემა	ლიტერატურა
---	------	------------

#	თემა	ლიტერატურა
1	მათემატიკა ოპტიმიზაციისათვის <ul style="list-style-type: none"> • ფუნქციის წარმოებული • ფუნქციის მაქსიმიზაცია ერთი და მრავალი ცვლადისათვის • მაქსიმიზაცია შეზღუდულ პირობებში • მეორე რიგის წარმოებული 	თავი 2 (<i>N</i>)
2	ფირმა და მისი გარემო <ul style="list-style-type: none"> • მოთხოვნა და მოთხოვნის ფუნქცია • მიწოდება და მიწოდების ფუნქცია • საბაზრო (წონასწორული) ფასის განსაზღვრა • ფასის კონტროლი • მოთხოვნის ელასტიურობა • მოთხოვნის ელასტიურობა და ფირმის შემოსავალი • მოთხოვნის ფუნქციის განსაზღვრა რეგრესიის ანალიზით (Excel) 	თავი 1-3 (<i>TT</i>) თავი 4-6 (<i>M</i>) თავი 2 (<i>PR</i>)
3	შემოსავლის და ჩანაცვლების ეფექტი <ul style="list-style-type: none"> • სარგებლიანობის ფუნქცია • სარგებლიანობის მაქსიმიზაცია • Lump Sum პრინციპი • შემოსავლის და ჩანაცვლების ეფექტი • მომხმარებლის და მწარმოებლის სარგებლიანობა • გადასახადები და წონასწორული ფასი • კონომიკური ეფექტიანობა და დოვლათის ანალიზი 	თავი 3-5 (<i>N</i>) თავი 7-8 (<i>M</i>) თავი 3-4 (<i>PR</i>)
4	<i>საკონტროლო წერა 1</i>	
5	წარმოების ფუნქცია <ul style="list-style-type: none"> • წარმოების ფუნქცია • შენაცვლების ტექნიკური ნორმა (RTS) • მაშტაბის ეფექტი • შენაცვლების ელასტიურობა 	თავი 7 (<i>N</i>) თავი 5,11 (<i>TT</i>) თავი 6 (<i>PR</i>)
6	მოგების მაქსიმიზაცია <ul style="list-style-type: none"> • დანახარჯთა ფუნქცია • მოკლევადიანი და გრძელვადიანი განაწილება • მოკლევადიანი და გრძელვადიან პერიოდისათვის გადაწყვეტილებების მიღება • წარმოების შეჩერება და ნულოვანი წერტილი • მოგების მაქსიმიზაცია • წრფივი პროგრამირების ელემენტები ფირმისათვის • მოგების მაქსიმიზაცია და დღევანდელი მსოფლიო 	თავი 8-9 (<i>N</i>) თავი 13 (<i>M</i>) თავი 7-8 (<i>PR</i>) თავი 6-7 (<i>TT</i>)
7	კონკურენციის კერძო წონასწორობის მოდელი <ul style="list-style-type: none"> • საბაზრო წონასწორობის მათემატიკური მოდელი • მოკლევადიანი და გრძელვადიანი წონასწორობა • სარგებელი საერთაშორისო ვაჭრობიდან 	თავი 10 (<i>N</i>) თავი 8 (<i>TT</i>) თავი 14 (<i>M</i>)
8	<i>საკონტროლო წერა 2</i>	

#	თემა	ლიტერატურა
9	მონოპოლია <ul style="list-style-type: none"> • ბაზარზე შესვლის ბარიერები • მოგების მაქსიმიზაცია და წარმოების რაოდენობის არჩევანი • მონოპოლია და რესურსების განაწილება • მონოპოლია, პროდუქციის ხარისხი და ხანგრძლივობა • ფასისმიერი დისკრიმინაცია • მეორე და მესამე რიგის ფასისმიერი დისკრიმინაცია, ბაზრის დანაწილება 	<p>თავი 13 (<i>N</i>) თავი 9-10 (<i>TT</i>) თავი 15 (<i>M</i>) თავი 10-12 (<i>PR</i>)</p>
10	არასრული კონკურენციის ტრადიციული მოდელები <ul style="list-style-type: none"> • ფასის ლიდერის მოდელი • კურნოს მოდელი • სტაკლბერგის მოდელი • ბერტრანის მოდელი 	<p>თავი 14 (<i>N</i>) თავი 16-17 (<i>M</i>)</p>
11	<i>საკონტროლო წერა 3</i>	
12	თამაშთა თეორია <ul style="list-style-type: none"> • ნემის წონასწორობა • პატიმართა დილემა • ორი პერიოდის თამაშები • განმეორებითი თამაშები • ფასის განსაზღვრა სტატიკურ თამაშში • შესვლა გამოსვლის სტრატეგია • თამაში არასრული ინფორმაციისას • Lemons and Peaches 	<p>თავი 15 (<i>N</i>) თავი 13 (<i>PR</i>)</p>
13	General Equilibrium and Risk Aversion <ul style="list-style-type: none"> • General Equilibrium- ის მარტივი გრაფიკული მოდელი • შედარებითი სტატიკური ანალიზი • ალბათობა და მოსალოდნელი ღირებულება • Risk Aversion და მისი განსაზღვრა • ინფორმაციის ღირებულება და თვისება • Moral Hazard 	<p>თავები 12,18,19 (<i>N</i>) თავი 5 (<i>PR</i>)</p>
14	პრაქტიკული სესია	
15	ფინალური გამოცდა	

მონაწილეთა შეფასების სისტემა:

ფრიადი	A (90%-ზე მეტი)
ძალიან კარგი	B (81%-90%)
კარგი	C (71%-80%)

დამაკმაყოფილებელი	D (61%-70%)
საკმარისი	E (51%-60%)
ვერ ჩააბარა	FX (41%-50%)
ჩაიჭრა	F (40% და ნაკლები)

სერტიფიკატის მინიჭების მოთხოვნები:

საბოლოო შედეგის მიხედვით, მონაწილე, რომელიც მიიღებს შეფასებას A-E, მიიღებს კურსის წარმატებით გავლის სერტიფიკატს;

მონაწილე, რომელიც მიიღებს შეფასებას FX, მიიღებს “მოისმინა” სერტიფიკატს;

მონაწილე, რომელიც მიიღებს შეფასებას F, სერტიფიკატს ვერ მიიღებს.

პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსები:

სალექციო ოთახი პროექტორით, დაფა, ელ-ბიბლიოთეკა